11/02/2025

MES 5 25 0000134357

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
რუსუდან ზვიადაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლა:
ნატო გაბოშვილი - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირში (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი):
გია ჩხიკვიშვილი - სკოლის სასწავლო ნაწილი

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა:
ვერა ოდიკაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა:
დავით ეცადეიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლა:
ნანული მანჯგალაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლა:
ქეთევან ქსოვრელი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლა:
ნინო დათიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა:
თამარ წიწილაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლა:
ლეილა ჩიტაური - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა:
სერგო ხოზრევანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლა:
რუსუდან ფანგანი-სკოლის დირექტორი

სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლა:
თინათინ ბეჟაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა:
დალი დიასამიძე-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლა:

ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირში (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი):

ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ბ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათელა ბასილია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 04 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა ;
2. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირში (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

12. „სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა;
13. „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, განმარტა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან იყო სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის დირექტორი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 დეკემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2100 მოსწავლისთვის (ორ ცვლაში).
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლას უფიქსირდებოდა ორი შენობა, მათგან ერთში განთავსებული იყო ძირითადი საკლასო ოთახები და ლაბორატორიები, ხოლო მეორე შენობაში იყო სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე ოთახები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2022 წელს დასრულდა სკოლის რეაბილიტაცია. სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა STEM ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი რესურსით, სკოლაში ფუნქციონირებდა რობოტიკის კლუბი, მოსწავლეები არდუინო სისტემებით ქმნიდნენ საინტერესო პროექტებს. მისი თქმით, სკოლა აქტიურად იყო ჩართული STEM აქტივობებში, გამოფენებსა და კონფერენციებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ

დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა კლუბს, მათი ინტერესების გათვალისწინებით და ჩართული იყვნენ მრავალფეროვან პროექტსა და აქტივობაში. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებდა ეკო კლუბი, რომელიც აინიცირებდა სასკოლო პროექტებს, ჩართული იყო CENN, ნიკო კეცხოველის პროექტებსა და სხვა აქტივობაში. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული სკოლის ყველა აქტივობაში, მხარს უჭერდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივებს.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავდა მის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიაში წარმოდგენილი იყო, რომ სკოლა მიზნად ისახავდა შეექმნა ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, ასევე, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ იყო განსაზღვრული და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლას ჰქონდა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, უზრუნველყოფდა სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, ჰქონდა სამედიცინო კაბინეტი და სხვა, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომელთა დეტალური აღწერაც მოცემული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა იყო სრულიად მოწესრიგებული, ჰქონდათ ყველა საჭირო მატერიალური რესურსი, ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, საევაკუაციო გეგმები, ლიფტი, პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, ექიმის ოთახი, რესურს ოთახი, წიგნადი ფონდით გამდიდრებული ბიბლიოთეკა, STEM ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზები, IT ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, კვების ბლოკი და სკოლაში განთავსებული იყო „ტენეს“ ეკო მეგობრული ყუთები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო, როდესაც სკოლაში შექმნილი იყო ჯანსაღი გარემო და როგორც შინაარსობრივად, ასევე, ვიზუალურად სკოლა აკმაყოფილებდა სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას.

აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საინტერესო კურიკულუმები და სასიხარულო იყო, რომ სკოლის დირექტორი ამგვარად ზრუნავდა დაწესებულებაზე. საბჭოს წევრი, მაკა მამფორია გამოხმაურა აღნიშნულ მოსაზრებას და გაიზიარა ის.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით სკოლის მიერ გატარებულ სხვადასხვა ღონისძიებამ.

სკოლის დირექტორმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღოდათ მასწავლებლებს, დირექციასა და მთლიანად სასკოლო საზოგადოებას. აქვე, აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირებული იყო მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. ასევე, მეორე ექიმის

აყვანასთან დაკავშირებით გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია და აპირებდნენ ექთნის შტატისა და პროფესიული პროგრამების დამატებას. მისი თქმით, ავტორიზაციის პროცესმა გამოკვეთა სკოლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:44
დასრულების დრო - 16:51

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლას (ს/კ: 202056381) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი II კვარტალი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი II კვარტალი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი II კვარტალი.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

2. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირში (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 12 და 13 ნოემბერს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1416513 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას 2022 წლის 19 აგვისტოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N923130 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა ავტორიზაცია, მონიტორინგის პირობით.

ექსპერტმა წარმოადგინა შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ჯანო ბაგრატიონის ქუჩა N6-ში არსებული შენობის მე-3 სართულზე. მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო მოწესრიგებული გარემო, ჰქონდათ ოთახი, რომელსაც იყენებდნენ სპორტული გაკვეთილებისთვის, ასევე, ბიბლიოთეკა და ამავე ოთახში კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნიეს საკლასო ჟურნალის გამოცემა სახელწოდებით „ლიცეუმის ყვავილი“, სადაც იბეჭდებოდა მოსწავლეთა ნამუშევრები.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად" შესაბამისი, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, ისაუბრა გამოვლენილი ხარვეზების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები პერსონალთან, არ ჰყავდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები, ასევე, თანამშრომელი, რომელიც ერთდროულად იყო საინფორმაციო მენეჯერი და ინგლისურის მასწავლებელი, იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში და ინგლისური ენის საათობრივი დატვირთვა გადანაწილებული

იყო სხვა მასწავლებლებზე, თუმცა, საინფორმაციო მენეჯერის ვაკანტური ადგილის შესავსებად არ იყო გატარებული ღონისძიებები, ასევე არ იყო წარმოდგენილი მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კომისიის ოქმები, 12 მასწავლებელს არ ჰქონდა კანონმდებლობის წესით დადგენილი მასწავლებლის სტატუსი და უსტატუსო მასწავლებლებს ჰქონდათ 9 საათზე მეტი კვირეული დატვირთვა, არ არსებობდა 10 თანამშრომლის პირადი საქმე. ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო ასახული მხარეთა უფლება-მოვალეობები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი.

ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა კურიკულუმების შემუშავებასა და განხორციელებაზე. მან გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და გაზიარება არ დასტურდებოდა, ასევე, დარღვეული იყო კურიკულუმების შემუშავების სტრუქტურა, აღრეული იყო საკითხი და პროდუქტი, არასწორად იყო განსაზღვრული თემის კლასტერი და არ ჰქონდათ განსაზღვრული რესურსები, გარდა ამისა, სკოლას არ ჰქონდა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები (დაწყებით და საბაზო საფეხურზე), შეფასების რუბრიკები, არ იყო წარმოდგენილი შუალედური მიზნის შესაფასებელი დავალების განხორციელების მტკიცებულებები, არ დასტურდებოდა სპორტული ინვენტარის ფლობა და მასწავლებელთა კომპეტენცია, უცხოურ ენაში, ბუნებისმეტყველებაში, ბიოლოგიაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ხელოვნებასა და მუსიკაში, აქვე, მისი თქმით, სკოლას საერთოდ არ ჰყავდა სპორტის მასწავლებელი.

ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა სხვადასხვა ხასიათის რეკომენდაცია და რჩევა, რომელთა დეტალური აღწერაც მოცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა, თუ რატომ ვერ მოხდა საბჭოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება და რა იყო მიზეზი, რომ დაწესებულება კვლავ მოუმზადებელი შეხვდა მონიტორინგის პროცესს, ასევე, როგორი პერსპექტივა ჰქონდა სკოლას სამომავლოდ.

სკოლის წარმომადგენლის, გია ჩხიკვიშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ შეიმუშავა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ავტორიზაციის დროს არ ჰქონდათ. მისი თქმით, ამ დოკუმენტების შემუშავებაში მშობლები ნაკლებად იყვნენ ჩართული, რაც ასახულიც იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და სკოლა სრულად იზიარებდა შენიშვნას.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრისთვის ესაჭიროებოდათ მეტი დრო და ჰქონდათ მზაობა გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა მოთხოვნადი იყო საზოგადოების დიდ ნაწილში, მათ მიიღეს მკაცრი გამოცდილება და იმ შემთხვევაში თუ საბჭო კიდევ ერთხელ მისცემდა ფუნქციონირების საშუალებას, აუცილებლად გააგრძელებდნენ მუშაობას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, გააკეთა თუ არა სკოლამ თვითშეფასება აგვისტოს თვეში და თუ გააკეთა, რატომ არ გამოიყენა მიღებული შედეგები სკოლის განვითარებისთვის.

სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ გააკეთეს თვითშეფასება და ძირითადი პრობლემა გამომდინარეობდა კურიკულუმებიდან, რომელთა დახვეწის გეგმაც ჰქონდა სკოლას შემუშავებული.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ გამოცემული იყო სკოლის დირექტორის ბრძანება, რომელსაც არ ჰქონდა საფუძველი და არც სამართლებრივად გათვალისწინებული ფორმატი, ასევე, დაინტერესდა, სკოლის დოკუმენტით სადაც მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმად ერთ-ერთი იყო ჯანმრთელობის ცნობა და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რას გულისხმობდნენ აღნიშნულში.

სკოლის წარმომადგენლის, გია ჩხიკვიშვილის, განმარტებით, ჯანმრთელობის ცნობა იყო მასწავლებლის წარმოსადგენი დოკუმენტაცია და არა შერჩევის კრიტერიუმი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ამოიკითხა სკოლის მისია, რომ „2033 წლისთვის სკოლა-ლიცეუმი ჩამოყალიბდება განსაკუთრებული პროფილის კონსერვატორულ ტრადიციონალისტურ იდეებზე დაფუძნებულ სასწავლებლად“ და მიმართა ექსპერტებს კითხვით, ხომ არ ფიქრობდნენ, რომ ეს ჩანაწერი ქმნიდა რისკს იმისას, რომ სკოლასი სასწავლო პროცესი იქნებოდა იდეოლოგიზებული და დაირღვეოდა ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-13 მუხლი. აქვე, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რას გულისხმობდნენ კონსტრუქტივისტულ უნარებში.
ექსპერტის, ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, სკოლას ეს მისია ჰქონდა დაარსების დღიდან და წარმოადგენდა სასკოლო საზოგადოების გაცხადებულ იდეოლოგიას და ვინაიდან აღნიშნული იყო გამჭვირვალე და მშობლის არჩევანს წარმოადგენდა ასწავლიდა თუ არა მსგავსი მისიის მქონე სკოლაში ბავშვს, ექსპერტი მიიჩნევდა, რომ არ იყო რისკის შემცველი.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა ექსპერტს, შეეფასებინა, როგორ ასრულებდა სკოლა მის გაცხადებულ მისიას.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ სკოლას განხორციელებული ჰქონდა რიგი აქტივობები, მათ შორის, ყოველწლიური ექსკურსიები, ღირებულებათა გაზიარება. მისი თქმით, სკოლა დაფუძნებული იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით.
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტის, კახა გალდავას, შეფასებით, სასწავლო პროცესში არ შეიმჩნეოდა რაიმე განსაკუთრებული მიდგომა.
სახელმწიფო ენის ექსპერტის, როლანდ ხოჯანაშვილის, განმარტებით, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით მე-2 სტანდარტი იყო სრულად დახარვეზებული და ექსპერტს სურდა რაიმე განსაკუთრებულის ნახვა, თუმცა, მსგავსი არ ჰქონდა სკოლას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვლმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ვითარება იყო ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით.
სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას არასდროს ჰქონია კომერციული დანიშნულება, შესაბამისად სკოლა იყო დაბალ შემოსავლიანი და როდესაც აცხადებდნენ მასაწვლებლის კონკურსს, დაბალი ანაზღაურების გამო, მიმართვიანობა არ იყო დიდი. აქვე, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ სკოლაში დასაქმდა სპორტის მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო 17:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირშის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირშის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)(ს/კ: 204902203) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის თებერვლიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა -ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სრული მონიტორინგი.

3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დოკუმენტაცია, სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში სამედიცინო ოთახის მოწყობისა და ექთნის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
ცენტრის მხრიდან, დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა. აქვე, სკოლისმიერ წარმოდგენილი წერილით გაირკვა, რომ სადგურ მარელისის საჯარო სკოლის შერწყმულ კორპუსში აღარ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი და შესაბამისად, სხვა რეკომენდაციების შესრულებას აზრი აღარ ჰქონდა.
აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ სკოლებისთვის საბჭოს მხრიდან გაცემული გარკვეული რეკომენდაციების შესრულება დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, ფინანსურ რესურსზეც, შესაბამისად, სკოლების ნაწილმა ვერ მოახერხა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულება და მტკიცებულებების წარმოდგენა ცენტრში. მან საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებში დაწესებულებების მიერ შეუსრულებელი რეკომენდაციების ორი წლით (წარმოდგენის ვადა 2027 წლის თებერვალი), გადავადების საკითხი.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 08 დეკემბრის N1673143 ოქმის მე-7 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ორივე კორპუსის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მე-7 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 08 დეკემბრის N 1673143 ოქმის მე-7 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**7. სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ტაბატაძემ . ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე ჯავახიშვილის ქ.N66 -ში(I კორპუსი) და ბაგრატიონის ქ.N121-ში (II კორპუსი). სკოლა, პირველ კორპუსში ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო მეორე კორპუსში მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2552 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2552 მოსწავლისთვის.
თეა ტაბატაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც, „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი ასევე შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4, და 3.5 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესი პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. ამ მხრივ სკოლაში წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა დებატკლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. სკოლას ასევე ჰქონდა ესეების კონკურსში მონაწილეობის წარმატებული გამოცდილება.
ექსპერტმა, ასევე ისაუბრა დასკვნაში გაცემულ რჩევებზე, რომლებიც ეხებოდა მეორე სტანდარტს (სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2552-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლას(ს/კ: 245429380) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2552- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი; ჯავახიშვილის ქ.N66(I კორპუსი); ბაგრატიონის ქ.N121(II კორპუსი)

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში, კერძოდ, ორივე კორპუსზე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები სა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

5. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ 2024 წლის 13 ნოემბერს წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
ცენტრის თანამშრომლის განმარტებით,შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბსმისობისა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის N1611764 ოქმის მე-9 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„9. სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ სამტრედიაში, მისამართზე - თელიას ქუჩა N2. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.

მაკა ტუკვაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3,5 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე (სამივე კურიკულუმისათვის) და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლა ჩართული იყო პროექტში „პროფესიული უნარების განვითარება სკოლაში“, რომელსაც ახორციელებდა „პროფესიული უნარების განვითარების სააგენტო“ აზიის განვითარების ფონდის მხარდაჭერით. 2022-2023 სასწავლო წელს კი ამ პროექტის მოკლევადიან სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში სკოლამ გააფორმა მემორანდუმი პარტნიორ კოლეჯთან - ქუთაისის კოლეჯი „იბერია“ და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა აითვისეს „გრაფიკული დიზაინის“ პროფესია. 2023-2024 სასწავლო წლიდან დაემატა კიდევ ერთი პროგრამა: „საყოფაცხოვრებო ელექტრომომსახურება“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა რომ სკოლის მიმართ გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა გაითვალისწინა თუ არა სკოლამ რჩევები ან აპირებდა თუ არა მომავალში გათვალისწინებას. სკოლის დირექტორმა, ნანული მანჯგალაძემ აღნიშნა რომ ის ავტორიზაციის გუნდთან ერთად იზიარებდა რჩევებს და მუშაობდა მათ გათვალისწინებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ სამტრედიის N11 საჯარო სკოლას (ს/კ: 238762987) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. სამტრედია, თელიას ქ. N2

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.“

6. სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-2 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ 2024 წლის 26 ნოემბერს წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. სსიპ - ქალაქ თბილისის 171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, განაცხადა, რომ იგი ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, ვინაიდან ჩართული იყო სკოლის მხარდაჭერის პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-3 პლატოს მე-2 კვარტალში,ძოწენიძის ქ.N 3-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის, ორ ცვლაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა „ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელების ადაპტაციის პროცესს, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლის ფსიქოლოგი, დამრიგებლები და ადმინისტრაცია.

მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა სრული შესაბამისობით, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა მეტწილად.
მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა ეტაპზე იყო ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესი.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ქსოვრელმა, განმარტა, რომ შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით გადადგმული იყო ნაბიჯები, კერძოდ, დაწესებულებაში იყვნენ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლები და სკოლა ელოდებოდა დასკვნას, სხვა რეკომენდაციებზე მუშაობა კი სკოლას დაწყებული ჰქონდა.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე დაინტერესდა , სკოლის ხედვასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულების ხედვის დოკუმენტის ჩანაწერში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა ზეპირსიტყვიერი რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თამარ მამსიკაშვილის კითხვა შეეხებოდა დაწესებულების საშტატო ერთეულს, კერძოდ, ჰყავდა თუ არა სკოლას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისთვის დამხმარე პერსონალი, გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.
ქეთევან ქსოვრელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე, რომელიც არ იყო ეტლით მოსარგებლე. რაც შეეხებოდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, მას ჰყავდა დამხმარე, კერძოდ მეეზოვე. მან ასევე დასძინა, რომ
მოიჯარეებთან სკოლას ჰქონდა 1 და 2 წლიანი კონტრაქტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №171 საჯარო სკოლას (ს/კ: 204889219) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, ძოწენიძის ქ.N 3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, ძოწენიძის ქ.N 3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, ნუცუბიძის მე-3 პლატო, მე-2 კვარტალი, ძოწენიძის ქ.N 3

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში. კერძოდ, ადაპტირებული გარემოსა და შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარმოდგენა.“

7. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 11 დეკემბრის N1688623 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმა, ასევე, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
დაწესებულებამ 2024 წლის 13 ნოემბერს წარმოადგინა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბსმისობის, საგანგებო სიტუაციებისმართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, ექიმის დასაქმებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამოწოვი კარადით აღჭურვის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N 1688623 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 11 დეკემბრის N 1688623 ოქმის მე-9 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„9. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, სიმონ ჩიქოვანის N26-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.

ირმა ხუციშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1 და 3.4 ასევე შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა 2005 წლიდან დღემდე აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთში მოქმედი სასკოლო განათლების ცენტრალურ უწყებასთან (ZFA), რომლის ფარგლებშიც, მას 2006 წელს მიენიჭა გერმანული ენის დიპლომის სკოლის სახელი (DSD-Schule). სკოლა ასევე თანამშრომლობდა პედაგოგიური გაცვლის სამსახურთან (PAD) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD). 2007 წლიდან სკოლა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყოველწლიურად ატარებდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის მინისტრთა საბჭოს (KMK) მეორე საფეხურის, ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის ცოდნის B1 დონის(DSD I) და B2/C1 დონის, გერმანული ენის დიპლომის (DSDII) გამოცდებს.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, რა ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფდა დაწესებულება.

სკოლის დირექტორმა, ნინო დათიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლა ხშირად საჯაროდ აჯილდოვებდა მოსწავლეებს სიგელებითა და დიპლომებით, ასევე ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებ.გვერდზე მშობლისა და მოსწავლის თანხმობის საფუძველზე. დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა წარმატებების აღნიშვნა ხორციელდებოდა ა მათ პირად საქმეებშიც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი იყო ახლად არჩეული დირექტორი,

შეესაბამებოდა თუ არა მისი ხედვა სკოლის განვითარების თაობაზე იმ ხედვასა და ფილოსოფიას, რომელიც სკოლას უკვე გააჩნდა მისი არჩევის პერიოდში.
დირექტორმა განმარტა, რომ იგი 20 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო ზემომითითებულ დაწესებულებაში, როგორც მასწავლებელი, შესაბამისად, კარგად ჰქონდა გააზრებული სკოლის საჭიროებებიც. მან განაცხადა, რომ მისი ხედვა შესაბამისობაში იყო სკოლის ამჟამად არსებულ ხედვასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილი პირველადი დოკუმენტაცია, კერძოდ, პროექტული გაკვეთილები, მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რის თაობაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ მოხდა რედაქტირებული ვერსიების წარმოდგენა ცენტრში, რომელიც იყო სტანდარტის შესაბამისი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და საგანგებო სიტუაციების უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მართვის გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლას (ს/კ: 204900107) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში, კერძოდ, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა, ასევე, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.“

8. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები.
დაწესებულებამ 2024 წლის 27 ნოემბერს წარმოადგინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.
ცენტრის წარმოამდგენლის განმარტებით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბსმისობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1747184 ოქმის მე-3 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კვანტიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 140 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თამარ კვანტიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდ, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მეოტხე სტანდარტის 4.2 კომპონენტი (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასებული იყო „მეტწილად“. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, მისი 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 კომპონენტები (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) ასევე შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახლადრეაბილიტირებული იყო. აღნიშნულ შენობაში სწავლა 2021 წლის სექტემბერში იყო განახლებული. ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში იყო სრულად ადაპტირებული გარემო.

საბჭოს თავმდჯომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, ვიზიტის პერიოდში გააუმჯობესა თუ არა სკოლამ კურიკულუმები და რა ეტაპზე იყო სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა.
ექსპერტმა თამარ კვანტიძემ დაადასტურა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა კურიკულუმები.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ წიწილაშვილმა შენობის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას მიწერილობა ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან და ელოდებოდნენ ექსპერტებს. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კი მან განაცხადა, რომ სკოლას ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაგზავნილი ჰქონდა დასკვნა, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში სკოლას ჰქონდა ხარვეზები და აღმოსაფხვრელად დაწყებული იყო გარკვეული სახის სამუშაოები.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გამოყო თუ არა სკოლამ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის სივრცე ცალკე.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ წიწილაშვილმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცის გამოყოფაზე ზრუნვა დაწყებული იყო და კარადები უკვე განცალკევდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლას (ს/კ: 243572576) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში, კერძოდ, შნეობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვება და ცენტრში წარდგენა.“

9. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-9 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების
გათვალისწინებით განსაზღვრის, შიდა სამეთვალყურეო კამერებია დამონტაჟებისა და შესაბამის პასუხისმგებელ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
დაწესებულებამ 2024 წლის 28 ნოემბერს წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციის გეგმა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციის გეგმა.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით,სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-9 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის N1765579 ოქმის მე-9 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„9.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს . სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტ, სოფელ ქერეში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90-მოსწავლისთვის.
ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩატარდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა შეფასებები. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი და კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა კი, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქერეს საჯარო სკოლას (ს/კ:218049715) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქერე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.1, 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში. კერძოდ, სკოლამ უნდა განსაზღვროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციების გათვალისწინებით, დაამონტაჟოს შიდა სამეთვალყურეო კამერები და შეიმუშაოს, დაამტკიცოს და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებებთან და შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინოს ცენტრში.“

10. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-8 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, დაწესებულებამ 2024 წლის 28 ნოემბერს წარმოადგინა ორი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მათი განმარტებით, მესამე შენობა არ იყო მდგრადი, შესაბამისად მოხდება მისი დემონტაჟი და აშენდება სპორტული დარბაზი. ასევე, საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების სამივე შენობაზე დასკვნის, ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადის ფარგლებში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-8 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 დეკემბრის N1726564 ოქმის მე-8 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"**8. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილაიამ. ექსპერტმა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ სალიბაურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ნათელა ბასილაიას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო “მეტწილი” შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს შეფასდა “მეტწილად” შესაბამისად ვინაიდან 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც “მეტწილად” შესაბამისი (სამივე საფეხურის პროგრამისთვის), ხოლო მეოთხე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება მიჩნეულიყო სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. სკოლაში მოქმედებდა ხარისხის მართვის ჯგუფი, ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. მასწავლებლები ესწრებოდნენ ერთმანეთს გაკვეთილებზე, აძლევდნენ უკუკავშირს. უკუკავშირი აგებული იყო მხარდაჭერაზე, შესრულებული სამუშაოს გაზიარებასა და გაუმჯობესებაზე. ყველა მასწავლებელი, რომელიც გაივლიდა გარედან შემოთავაზებულ ტრენინგს, ნიშნავდა სამუშაო შეხვედრას და გამოცდილებას უზიარებდა კოლეგებს. სკოლის 22 მასწავლებლიდან 2 მენტორი იყო, 12 - წამყვანი, 8 - უფროსი. ექსპერტმა ასევე განაცხადა რომ სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 10 ცალკე მდგომი შენობა, რომელთაგან მხოლოდ 3 (შენობა #01, 02, 06) გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა მიმართა თუ არა სკოლამ შესაბამის ორგანოებს სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნასთან დაკავშირებით ვინაიდან სამივე შენობა საჭიროებდა ადაპტირებას. სკოლის დირექტორმა, სერგო ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ მან მიმართა შესაბამის ორგანოებს, რომლებმაც უზრუნველყვეს თანხის გამოყოფა იმისათვის რომ სკოლის ყველა კორპუსში შეიქმნას ინკლუზიური გარემო. დირექტორის განცხადებით მოგვარდა და გამოსწორდა ხარვეზები საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ ლაბორატორიასთან დაკავშირებით. კერძოდ, სრულად აღიჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რამდენიმე დღეში კი დასრულდებოდა კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვაც.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დასკვნაში დაფიქსირებული იყო რომ სკოლის ერთ-ერთ

შენობას სჭირდებოდა დემონტაჟი. საბჭოს წევრმა სკოლის დირექტორისგან ითხოვა დაზუსტება, მიმდინარეობდა თუ არა სწავლება აღნიშნულ შენობაში. სკოლის დირექტორმა დაადასტურა რომ ეს კონკრეტული შენობა არ გამოიყენებოდა სასწავლი მიზნებისთვის და იყო იზოლირებული.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი, კვირის საუკეთესო მოსწავლის პრაქტიკასთან დაკავშირებით, სადაც არის შემუშავებული კრიტერიუმები, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო „ფორმიანობა და ორგანიზებულობა“. საბჭოს წევრმა სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა რა იგულისხმებოდა აღნიშნულ კრიტერიუმში. სკოლის დირექტორმა, სერგო ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ ეს კრიტერიუმი გულისხმობდა მოსწავლის სპორტულ გაკვეთილებზე, საგაკვეთილო პროცესზე, კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე დასწრებას შესაბამისი ჩაცმულობით და ორგანიზებით. საბჭოს წევრმა, სკოლის დირექტორს რჩევის სახით განუცხადა რომ დაეკონკრეტებინათ აღნიშნული კრიტერიუმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლას(ს/კ: 245428951) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, სამივე შენობისთვის.

11. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-11 ნაწილის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის დეკემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ორივე შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და ორივე შენობის პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-11 ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1771665 ოქმის მე-11 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„11. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, კერძოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, რუსთაველის ქ. N407- ში და საირმის ქუჩა N29-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 500 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 500- მოსწავლისთვის.

ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა ასევე „შესაბამისად“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ასევე გააზიარა სკოლის შენობების ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის მთავარი შენობა რეაბილიტირებული იყო, თუმცა საირმის ქუჩაზე მდებარე შენობა, სადაც სწავლობდა 7 მოსწავლე, საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლას მდგრადობის შესახებ დოკუმენტის მოპოვების ვადები არ ჰქონდა გაწერილი და განსაზღვრული შესაბამისობის გეგმით, ამიტომ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა მეტი ინფორმაცია გაეზიარებინა საბჭოსთვის.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რუსუდან ფანგანმა განაცხადა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას უკვე შეთანხმებული ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან და აქტიურად მუშაობდნენ შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების მოპოვების საკითხებზე, რასაც უახლოეს მომავალში დაასრულებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის N2 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლას (ს/კ:220373735) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ინგირი, რუსთაველის ქ. N407;, საირმის ქუჩა N29

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2027 წლის თებერვალში. კერძოდ, ორივე შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ორივე შენობის

მდგრადობის შესახებ დასკვნის და ორივე შენობის პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.“

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განხორციელდა 2023-2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია. გამომდინარე იქიდან, რომ საგნობრივი ექსპერტები სკოლის შეფასების პროცესს ახორციელებდნენ დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარ შესწავლილი კურიკულუმის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა იმ სკოლებში, სადაც მეორე სტანდარტის მონიტორინგი დანიშნული იყო ადგილზე ვიზიტის ფორმით, შეცვლილიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლის ფორმით.

12. „სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 232004826) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2026 წლის აგვისტოდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2026 წლის აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მეხუთე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება დააყენა „სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მეხუთე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„5. სსიპ- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა 250 იყო. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და მუდმივად ზრუნავდნენ სკოლის გარემოზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნესტან სიხარულიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, სკოლას ჰქონდა რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც საჭიროებდა დამატებით მატერიალურ რესურსებს და პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ჰქონდა სივრცე, რომელიც აღჭურვილი იყო საკერავი მანქანებით. ამ მიმართულებით მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კვალიფიციური კადრი, გაწერილი გრაფიკით, სკოლაში ადგილზე ვიზიტით, ახორციელებდა მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას პროფესიული მიმართულებით.

18:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე რა ვითარება იყო პროექტული სწავლების მიმართულებით.
ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის, სალომე არაბიძის განმარტებით, სკოლას ჰქონდა ინდივიდუალურად შექმნილი კურიკულუმები და განხორციელებული ჰქონდათ პროექტები სხვადასხვა მიმართულებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ნინო გავაშელის, განმარტებით მე-11 კლასში განხორციელებული ჰქონდათ პროექტი აზარტული თამაშების შესახებ, ასევე, მე-10 კლასში განხორციელებული პროექტები ეხებოდა ხანდაზმულებისა და მეწარმეთა მხარდაჭერას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთული სკოლის მისია არ იყო თანხვედრაში სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ მისიასთან და მიმართა სკოლის წარმომადგენელს, განემარტა რა იყო აღნიშნულის მიზეზი. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, საათობრივი ბადის შექმნისას ეხელმძღვანელათ კანონმდებლობის მოქმედი რედაქციით.
სკოლის დირექტორის, თინათინ ბეჟაშვილის განმარტებით, ვებ-გვერდზე ატვირთული იყო სწორი დოკუმენტაცია, ხოლო ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტებს ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:15

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 232004826) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა სიმონეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები** - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.“

13. „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ 2024 წლის 27 აგვისტოს N 1022339 ოქმში ასახული გარემოების საფუძველზე, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლას (ს/კ: 223102700) მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით 2026 წლის აგვისტოდან დაენიშნა მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმში უნდა შესულიყო ცვლილება, კერძოდ, მონიტორინგის ფორმად განსაზღვრულიყო ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შესწავლა მე-2 სტანდარტთან (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მიმართებით, 2026 წლის აგვისტოდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მესამე ნაწილში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება დააყენა „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს N1022339 ოქმის მესამე ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი სასწავლო პროცესი წარიმართებოდა ორ ცვლაში, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობის სასკოლო მერხი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ტარიელ კალანდაძემ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები

შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაც „მეტწილად“ ან „ნაწილობრივ“ იყო დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ასევე, დასკვნა მოიცავდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ პედაგოგებს ჰქონდათ სიახლეების მოძიების, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა. სკოლაში განხორციელებული იყო სასწავლო პროექტები ეროვნული სასწავლო გეგმის ექვსი პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად. სკოლას კარგი გამოცდილება ჰქონდა არაფორმალური განათლების მიმართულებით. მუშაობდა სხვადასხვა კლუბი, მაგალითად კლუბი ,,სმურფი“ , რომელსაც გამოყოფილი ჰქონდა ცალკე სივრცე, კლუბმა განახორციელა პროექტები ,,წიგნის სურნელი“, ,,პაემანზე დამპატიჟა სიბერემ“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და სხვა. ექსპერტის განცხადებით მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სოფლის თემი იყო მრავალფეროვანი, ვინაიდან ცხოვრობდა საქართველოს ძირითადად სამი რეგიონის (აჭარა, მთიანეთი, მესხეთი) მოსახლეობა. შესაბამისად, სკოლა ყველა აქტივობას, პროექტს ახორციელებდა აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე. პედაგოგიური კოლექტივი თვლიდა, რომ სოფელში მრავალფეროვანი თემის მშვიდობიანი თანაცხოვრება იყო სკოლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე გეგმა მერხების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც თავიდან აარიდებდა სასწავლო პროცესის ორ ცვლაში განხორციელებას.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, განაცხადა, რომ სკოლა ამ ეტაპზე იყო სრული რეაბილიტაციის მოლოდინში, რომლის შემდეგაც უზრუნველყოფილი იქნებოდა საჭირო რაოდენობის მერხებით.

სკოლის დირექტორმა, დალი დიასამიძემ, დამატებით განაცხადა, რომ სკოლას ჯამში ჰქონდა 80 სასკოლო მერხი და ამასთან დაწესებულებას 70 მოსწავლეზე მეტი არასდროს არ ჰყოლია, თუმცა, თუ მოსწავლეთა რაოდენობა გაიზრდებოდა, სკოლა უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის წარმართვას ორ ცვლაში იქამდე, სანამ საჭირო რაოდენობის მერხებს შეიძენდნენ.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განაცხადა რომ სკოლის ანგარიშზე არსებული საბიუჯეტო ნაშთი შეადგენდა 35 000 ლარს, მაშინ როცა SWOT ანალიზის მიხედვით, დაწესებულების სუსტ მხარეს წარმოადგენდა შენობის ინფრასტრუქტურა. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ დაგეგმეს ან განახორციელეს რაიმე სახის ინფრასტრუქტურული პროექტი სკოლის სუსტი მხარის გამოსასწორებლად.

სკოლის დირექტორმა, დალი დიასამიძემ, განაცხადა, რომ ვინაიდან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას უკვე წარდგენილი ჰქონდა სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი და ახლო მომავალში ელოდებოდნენ მის განხორციელებას, სკოლას ბოლო ორი წლის განმავლობაში არ დაუგეგმავს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, გარდა მცირე კოსმეტიკური რემონტისა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, განაცხადა რომ სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ფოტოს მიხედვით, სკოლის შესასვლელში არ იყო პანდუსი. საბჭოს წევრმა ექსპერტს სთხოვა სკოლის ინკლუზიურ გარემოსთან დაკავშირებით წარმოედგინა მეტი დეტალი.

ექსპერტმა, ტარიელ კალანდაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რესურს ოთახი თუმცა, სკოლის შესასვლელი არ იყო ადაპტირებული და საჭიროებდა პანდუსის მოწყობას. ექსპერტის განცხადებით, სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომელსაც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის წერილიც ახლდა, უზრუნველყოფდა აღნიშნული საკითხის მოგვარებას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა რომ კურიკულუმებში საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მოცემული იყო კომპლექსური დავალება სათაურით: „ ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“. საბჭოს წევრმა მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა რა შინაარსს ატარებდა აღნიშნული დავალება.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ინგა მოსიძემ, აღნიშნა, რომ მასწავლებელთა განმარტებით, მოცემული კომპლექსური დავალება ეხმიანებოდა თემში არსებულ მრავალფეროვნებას. ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ მოცემული სათაური არ ემთხვეოდა დავალების შინაარსს და გაიცა რჩევა, დაეხვეწათ აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად ასახავდა სასკოლო პროექტები თემის მრავალფეროვნებას და ხომ არ ახორციელებდა სკოლა რაიმე სახის სათემო პროექტს.
ექსპერტმა, ტარიელ კილაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა ნამდვილად ახორციელებდა სათემო პროექტებსა და ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შესაბამისი ინკლუზიური გარემო.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლას (ს/კ: 223102700) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

	სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის და პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები** -მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მეორე სტანდარტის მონიტორინგთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებითა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სკოლა კურიკულუმებთან დაკავშირებით საჭიროებდა მეტ კონტროლსა და ძალისხმევას.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ელექტრონული ვერსია
შეესაბამება
ელექტრონულად